

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ტურიზმი</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>ტურიზმში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს შეასწავლოს სტუდენტს ტურისტული საწარმოს (ორგანიზაციის) მართვის პრინციპები და გამოუმუშავოს მას ტურიზმის ბიზნესის სწრაფვალეზად გარემოში მოქმედების უნარი. მოამზადოს სტუდენტი კარიერისთვის ტურიზმის ბიზნესისა და ტურისტული საწარმოს მართვის სფეროში. გამოუმუშავოს მას ტურიზმის ბიზნესის სფეროში სპეციფიური ცოდნა და უნარები, ტურიზმის ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების გაგება. აღზარდოს მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი პიროვნება.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს ტურიზმის ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლების, აგრეთვე, ტურისტული ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების, ტურიზმის ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების ცოდნა. ფლობს ტურიზმის ტერმინოლოგიას, ტურიზმის ბიზნესის სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს. აქვს ცოდნა ტურისტული ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ. აცნობიერებს ტურიზმის ეკოლოგიურ, კროსკულტურულ და ტურიზმის ინდუსტრიის საკითხებს.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: გააჩნია ტურისტულ ორგანიზაციაში პროცესების მართვის, მარკეტინგული, ფინანსური პროექტების მართვის უნარები. შეუძლია ტურისტული ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა. პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, მათი დასაბუთება და დაცვა. გააჩნია ტურისტულ საწარმოში ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი; გააჩნია</p>

	<p>იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს ტურისტული ფირმის მართველობით აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მართვასა და მარკეტინგში.</p> <p>დასკვნის უნარი: გააჩნია ტურისტულ ბიზნესში პრობლემის გადასაწყვეტად მონაცემების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი; შეუძლია ტურისტულ საწარმოში სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების შესახებ მოსაზრებების ამსახველი დასკვნების ჩამოყალიბება; გააჩნია ტურიზმში გამორჩეული, ახალი მეთოდის გამოყენებით, განყენებული მონაცემების და სიტუაციის კრიტიკული ანალიზის უნარი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ტურიზმის ბიზნესის სფეროში სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის, იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების გაცნობა, ასევე მათთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია (დისკუსიაში პროფესიული მონაწილეობა, შედეგების დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა); გააჩნია ტურიზმის სფეროში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და მათი თავისუფლად სარგებლობის, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისების უნარი.</p> <p>სწავლის უნარი: ტურიზმის დარგში საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელების უნარი.</p> <p>ღირებულებები: აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციაში და საზოგადოებაში; აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>როსტომ ბერიძე. აკადემიური თანამდებობა: სრული პროფესორი. მისამართი : ბათუმი, მელიქიშვილის ქ. 91, ბინა 48. ტელ: +99599 71 62 63; +99577 71 62 63. ელ. ფოსტა: rostom.beridze@gmail.com; www.bsu.ge</p> <p>ვახტანგ მიქაშავიძე. მისამართი: 6010 ბათუმი, ფიროსმანის ქ. №10, ბინა 6 ტელ.:(+995) 99154522. ელ-ფოსტა: vo_me@hotmail.com</p>